713/11
20.12.18

შპს „GOLDNET“-ის (ს/კ 446955055) წილის 100%-ის შპს “სქაიტელის“ (ს/კ 400013748) მიერ შეძენაზე, ასევე შპს “სქაიტელის“ (ს/კ 400013748) და შპს „GOLDNET“-ის (ს/კ446955055) შერწყმაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას 2018 წლის 7 დეკემბერს ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს “სქაიტელმა და შპს „GOLDNET“-მა, შპს „GOLDNET“-ის (ს/კ 446955055) წილის 100%-ის შპს “სქაიტელის“ (ს/კ 400013748) მიერ შეძენის, ასევე შპს “სქაიტელის“ (ს/კ 400013748) და შპს „GOLDNET“-ის (ს/კ446955055) შერწყმის განზრახვასთან დაკავშირებით, კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შერწყმის ან წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „GOLDNET“-ის და შპს “სქაიტელი“ წარმოადგენენ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ პირებს.

შპს „GOLDNET“-ს ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2 **ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა**

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

შპს "სქაიტელს" ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3 ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.4 მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური სახაზო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალური საშუალებებს ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.7 ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა

ძირითადი საკომუნიკაციო ქსელების ურთიერთჩართვის გარდამქმნელი ტერმინალური აღჭურვილობის (IP TV, IP ტელეფონია) ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

	MAX	ფრინე	Yourn	სქაიტე	Nikn	ნეტფ	Max.	ლაინ	ბლექს	GOLD	Galaxy

B.F.1 ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება

ადგილობრივი სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

საერთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

საქალაქთაშორისო სატელეფონო (ხმოვანი) კავშირით მომსახურება

B.F.2 ინტერნეტ მომსახურება

WiFi

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „GOLDNET"-ის წილის 35%-ის მფლობელია ფიზიკური პირი პაპუნა ყალიჩავა, 35%-ის - ფიზიკური პირი დავით ყალიჩავა, 15%-ის - ფიზიკური პირი კონსტანტინე ქობალავა, 15%-ის - ფიზიკური პირი მანუჩარ ბესელია. შპს „GOLDNET"-ის დირექტორია პაპუნა ყალიჩავა.

შპს "სქაიტელის" წილის 100%-ის მფლობელია ფიზიკური პირი ბესიკ მოსაშვილი. შპს "სქაიტელის" დირექტორია არჩილ ხოჯაშვილი.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს „GOLDNET" სხვა ავტორიზებულ პირებთან აფილირებული არ არის.

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შპს "სქაიტელთან" აფილირებული ავტორიზებული პირები არიან: შპს „Netflex ნეტფლექსი", შპს „MAXNET", შპს „YOURNET, შპს „Niknet", შპს „ფრინეტი", შპს „Galaxy Georgia", შპს „მაქსნეტი Max.net", შპს „ბლექსინეტი", შპს „ლაინ ნეტი".

შპს "სქაიტელი", შპს „GOLDNET", ასევე შპს "სქაიტელთან" აფილირებული ავტორიზებული პირები ახორციელებენ ფიქსირებულ საცალო ინტერნეტ მომსახურებას WiFi ტექნოლოგიის, ასევე ოპტიკური ქსელის გამოყენებით.

კომისიის საერთო სტატისტიკური ბაზის მონაცემების თანახმად, ფიქსირებული საცალო ინტერნეტ აბონენტების რაოდენობამ 2018 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიების მიხედვით შეადგინა:

შპს „სქაიტელი" – 9861 აბონენტი;
შპს „GOLDNET" – 2228 აბონენტი;
შპს „MAXNET" – 5780 აბონენტი;
შპს „ფრინეტი" – 2970 აბონენტი;
შპს „YOURNET" – 1913 აბონენტი;
შპს „Niknet" – 1004 აბონენტი;
შპს „ნეტფლექსი" – 673 აბონენტი;
შპს „Galaxy Georgia" – 703 აბონენტი.
შპს „ბლექსინეტი" – 508 აბონენტი;
შპს „ლაინ ნეტი" – 738 აბონენტი;
შპს „მაქსნეტი Max.net" – 1971 აბონენტი.

მუნიციპალიტეტების ჭრილში ზემოაღნიშნული კომპანიების კუთვნილი ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის ხვედრითი წილი შესაბამის მუნიციპალიტეტში არსებულ ინტერნეტ მომხმარებლების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში შემდეგია:

	NET	ტი	et	ლი	et	ლექსი	net	ნეტი	ინეტი	NET	Georgia
აბაშა			0,06%	0,28%							
ადიგენი				1,87%							
ასპინძა				3,33%							
ახალგორი				47,54%							36,89%
ამბროლაური	49,8%			0,24%							
ახალციხე			0,17%	0,54%							
ახმეტა	1,2%	10,1%	1,59%	2,2%				20,5%			
ბათუმი				**0,09%**			**1,38%**		**0,22%**	**0,12%**	
ბაღდათი	6,05%			1,19%							
ბორჯომი				13,86%							
ბოლნისი				2,63%							1,1%
გალი				100%							
გურჯაანი		2,91%	4,77%	7,58%							
გორი				0,1%							
გარდაბანი			0,32%	6,1%							0,01%
დუშეთი				23,18%		5,83%					
დმანისი				2,05%		0,37%					
დედოფლისწ.			22,1%								
ვანი	1,32%			1,7%							0,4%
ზუგდიდი				15,1%							
ზესტაფონი	1,05%										
თერჯოლა	53.1%										
თეთრიწყარო				14,2%							2,39%
თბილისი				0,47%	0.1%						
თიანეთი				2,2%							
თელავი	0,02%	17,6%		1,08%							
კასპი				1,81%							
ლაგოდეხი	1%	0,7%		0,97%				0,02%			
ლანჩხუთი										**0,24%**	
მარტვილი	0,15%										0,05%
მცხეთა				1,22%							
მარნეული			0,04%	0,18%							5,16%
რუსთავი				0,05%							
ოზურგეთი										**2,23%**	
ონი	99,6%										
სამტრედია	0,03%			0,01%							
საჩხერე	53,2%			0,66%							
საგარეჯო			12,5%								
სიღნაღი		0,02%	6,71%	5,25%							
სტეფანწმინდა				12,29%		31,6%					
სენაკი				2,39%							
ფოთი				0,01%							
ტყიბული	20.9%										
ქედა				0,48%							
ქუთაისი	0,15%			0,18%							

ქობულეთი				**0,17%**			**9,96%**			**11,8%**	
ყვარელი		9,32%		0,64%							
ჭიათურა	29,5%			0,41%							
წალენჯიხა				13,33%							
წყალტუბო	13,9%			0,16%							
შუახევი	1,46%			0,8%							
ხელვაჩაური				**0,76%**			**6,45%**		**9,3%**	**14,7%**	
ხობი				2,43%							
ხონი	0,12%										
ხაშური				0,01%	6%						

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, შპს „GOLDNET“-ის წილის 100%-ის შპს “სქაიტელის“ მიერ შეძენის, ასევე ამ კომპანიების შერწყმის შემთხვევაში, შპს „GOLDNET“-ის, შპს „სქაიტელის“ და შპს „სქაიტელთან“ აფილირებული ავტორიზებული პირების საცალო ინტერნეტ აბონენტების ჯამური ოდენობის ხვედრითი წილი შესაბამის მუნიციპალიტეტებში საცალო ინტერნეტ მომხმარებლების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში იქნება: ბათუმში - 1,81%; ლანჩხუთში - 0,24%; ოზურგეთში 2,23%; ქობულეთში - 21,93%; ხელვაჩაურში - 31,21%.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „GOLDNET“-ის წილის 100%-ის შპს „სქაიტელის“ მიერ შეძენა, ასევე შპს „სქაიტელის“ და შპს „GOLDNET“-ის შერწყმა, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გავლენას ვერ იქონიებს და აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან.

კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „GOLDNET“-ის წილის 100%-ის შპს „სქაიტელის“ მიერ შეძენაზე, ასევე შპს „სქაიტელის“ და შპს „GOLDNET“-ის შერწყმაზე თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეთ თანხმობა შპს „GOLDNET“-ს და შპს „სქაიტელს“,შპს „GOLDNET“-ის წილის 100%-ის შპს „სქაიტელის“ მიერ შეძენაზე, ასევე შპს „სქაიტელის“ და შპს „GOLDNET“-ის შერწყმაზე;
2. განემარტოთ შპს „სქაიტელსა“ და შპს „GOLDNET“-ს, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების, ასევე შპს „სქაიტელის“ და შპს „GOLDNET“-ის შერწყმის შემთხვევაში, შპს „სქაიტელი“ და შპს „GOLDNET“ ვალდებულნი არიან აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობონ შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;
3. შპს „სქაიტელის“ და შპს „GOLDNET“-ის შერწყმის შემთხვევაში, შპს „სქაიტელმა“ და შპს „GOLDNET“-მა უზრუნველყონ “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სქაიტელისა“და შპს „GOLDNET“-სათვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);
5. გადაწყვეტილება ძალაში შედის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „სქაიტელისა“ და შპს „GOLDNET“-სათვის ჩაბარების დღიდან;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), შპს „სქაიტელისა“ და შპს „GOLDNET“-სათვის ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**
კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**